ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-01183301669
თარიღი: 26/11/2018
პინი: 1980

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: შპს ჯორჯიან ჰაუზ პლუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400014471
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზ., № 12ა, კორპუსი № 5 და არალეთის ქუჩისა და ყოფილი,საბავშვო ბაღის მიმდებარედ

თქვენი N10/011824215 36-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-012 405026877

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-10/01182421536-17

"22." 11. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, დავით გურამიშვილის გამზირი №23ა-ში (საკ. კოდი №01.12.07.010.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №4136843 29.08.2018წ.

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, დავით გურამიშვილის გამზირი №23ა-ში (საკ. კოდი №01.12.07.010.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

პროექტში მონოლითური კედლები სრულად არ არის აღნიშნული. ლიფტის შახტების ნაწილში არ არის მოწყობილი ლიფტის კაბინები. ნაწილობრივ შესალესია აივნის ფილების შპალერი, ფასადებზე დამატებულია სარეკლამო აბრები, დამატებულია საჰაერო და გამწოვი მილები და კონდიციონერები, ხოლო პროექტით გათვალისწინებული კონდიციონერები არ არის დეკორატიულად შეფუთული. შენობის საცხოვრებელ ნაწილში მდებარე სადარბაზოებში +5.10 ნიშნულზე იატაკის მოპირკეთების შედეგად შექმნილია დონეთა სხვაობა..

-4.20 და -3.30 ნიშნული: დამატებით მოწყობილია ანტრესოლები და კიბის საფეხურებით.

±0.00 ნიშნული: დამატებით მოწყობილია კომერციული ფართები, ნაცვლად ავტოპარკინგისა.

+5.10 ნიშნული: "ა" და "ბ" ბლოკებში მდებარე სადარბაზოებში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები.

+21.60,+31.50 და +54.60 ნიშნულებზე "9-14" "ლ-ნ" მონაკვეთში შემცირებულია სადარბაზოს ფართი.

"ო-ა" ფასადი: +0.00 ნიშნულის ქვევით "ბ" ღერძთან მინაპაკეტის კარების ნაცვლად მოწყობილია ლითონის გასაღები ცხაურები. +11.70 ნიშნულზე "ლ-კ" მონაკვეთში შესავსებია შოვი.

-1.65 ნიშნულზე ცალკე მდგომი მცირე შენობა და მასზე მოწყობილი კიბის საფეხური ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ვორვიან ჰაუზ პლიუსი"-ს ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, დავით გურამიშვილის გამზირი №23ა-ში (საკ. კოდი №01.12.07.010.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01182421536-17 30.08.2018წ. განცხადება.
№წ-10/01182421536-17 03.09.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე